

ანა ელიზაროვა

Estonian Business School

"ერაზმუს+-ის აკადემიური მობილობის პროგრამის ფარგლებში 2023 წლის აპრილის თვეში, ვეწვიე ქ. ტალინში არსებულ ესტონეთის ბიზნეს სკოლას.

მობილობის ფარგლებში, ესტონეთის ბიზნეს სკოლის ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისთვის წავიკითხე ლექციები "სტრატეგიული მარკეტინგისა" და "მარკეტინგული კვლევების" შესახებ. განვიხილეთ სხვადასხვა საჭირო სტრატეგია და ტაქტიკა მარკეტინგული გეგმის შესადგენად. ვიმსჯელეთ საქართველოსა და ესტონეთის ბაზრის თავისებურებებზე. სტუდენტებს გავაცანი მარკეტინგული კვლევის ძირითადი პრინციპები და მიდგომები. სესიების მიმდინარეობისას ჩავატარე პრაქტიკული აქტივობები, ხოლო დასრულების შემდგომ სტუდენტებს დაევაღათ შემაჯამებელი წერიტი სავარჯიშოების შესრულება.

ასევე, ვიზიტის ფარგლებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივი უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება საქართველო და კავკასიის ბიზნეს სკოლა გამეცნო ესტონელი კოლეგებისთვის."